ALL	43	Неисправность дистанционного управления (Open Therm)	- Проверить электрическое соединение OT
ALL	44	Общая аномалия времени открытия клапана без пламени	- Проверьте наличие гидроудара в сантехнической системе, а в случае его обнаружения установите устройство защиты от гидравлического удара - Проверьте наличие аномальных запросов к комнатному термостату - Обратитесь в сервисный центр
ALL	56	Блокировка в связи с ΔT на подаче/возврате за пределами максимального диапазона (открытое вентиляционное отверстие)	- Обратитесь в сервисный центр
ALL	57	Блокировка в связи с контролем FT "Flow Temp" открытого вентиляционного отверстия	- Обратитесь в сервисный центр
ALL	62	Требуется процедура самокалибровки	- Запустите процедуру самокалибровки (см. соответствующий пункт руководства)
ALL	72	Неправильное положение датчика на нагнетании отопления	- Проверить функционирование и позиционирование датчика на нагнетании
ALL	74	Неисправность второго датчика на нагнетании	- Проверить функционирование и позиционирование второго датчика на нагнетании

Тип	№	Неисправность	Способ устранения
ALL	77	Ошибка макс./мин. абсолютных пределов тока EV2 SGV	- Проверить газовый клапан и плату
ALL	78	Ошибка превышения предела тока EV2 SGV	- Проверить газовый клапан и плату
ALL	79	Ошибка нижнего предела тока EV2 SGV	- Проверить газовый клапан и плату
ALL	80	Неисправность вдоль логической линии управления клапана / кабель клапана поврежден	- Проверить газовый клапан и плату
ALL	84	Уменьшение производительности в связи с (предполагаемым) низким давлением газа сети	- Проверить расход газа
ALL	88	Внутренняя ошибка (защита компонента на схеме)	- Проверить функционирование платы - Заменить плату
ALL	95	Ошибка микровыключений по сигналу пламени	- Проверить электрод - Проверить плату - Проверить электропитание - Проверить калибровку газа
ALL	98	Ошибка ПО, запуска схемы	- Обратитесь в сервисный центр
ALL	99	Общая ошибка схемы	- Обратитесь в сервисный центр
-	-	Частое срабатывание предохранительного клапана	- Проверьте давление в контуре - Проверьте состояние расширительного бака
-	-	Недостаточное производство горячей воды для ГВС	- Проверьте исправность переключающего клапана - Проверьте, не нуждается ли в чистке пластинчатый теплообменник - Проверьте состояние и исправность крана в контуре ГВС

8.6.1 Запрос техобслуживания

При достижении периода времени необходимости осуществления техобслуживания котла, на дисплее появляется символ .



Свяжитесь с Технической Службой для программирования необходимых работ.



ყურადღება

– შეფუთვის მოცილების შემდეგ დარწმუნდით, რომ მოწოდებული პროდუქტი სრული და მთლიანია ყველა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუკავშირდით მომწოდებელს.

– დანადგარის გამოყენების წესი უნდა შეესაბამებოდეს **Sime** -ს მიერ განსაზღვრულს. დამამზადებელი პასუხს არ აგებს ადამიანების, ცხოველების ან საგნებისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია დანადგარის არასწორი დაყენებით, მომსახურებით და გამოყენებით.

– წყლის გაჟონვის შემთხვევაში გამორთეთ დანადგარი ელექტროქსელიდან, დაკეტეთ წყლის მიწოდების ქსელი და დროულად შეატყობინეთ ამის შესახებ პროფესიულად კვალიფიციურ პერსონალს.

– პერიოდულად შეამოწმეთ, არის თუ არა წყლის გამათბობელ სისტემაში სამუშაო წნევა **1 – 1,2 ბარი**, როდესაც ის ცივია. თუ ეს ასე არაა, გაზარდეთ წნევა ან დაუკავშირდით პროფესიულად კვალიფიციურ პერსონალს.

– თუ დანადგარი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმადაა, ჩაატარეთ მინიმუმ ერთი ოპერაცია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:
  - *დააყენეთ სისტემის მთავარი ჩამრთველი პოზიციაში "OFF";*
  - *დაკეტეთ წყლის გამათბობელი სისტემის ბუნებრივი აირის და წყლის სარქველები.*

– დანადგარის ოპტიმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად **Sime** გირჩევთ დანადგარის გამოცდას და შემოწმებას **წელიწადში ერთხელ**.

– თუ კაბელი დაზიანებულია, შეცვალეთ ის დამატებით შეკვეთილი სათადარიგო კაბელით, რომელსაც იგივე მახასიათებლები აქვს (ტიპი x). შეცვლა კვალიფიციურმა პერსონალმა უნდა ჩაატაროს.

– ცე-ო-ს კონცენტრაცია წვით გამოყოფილ ნივთიერებებში ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს იმ ქვეყნის ინსტალაციის რეგულაციებს, სადაც მოწყობილობა მონტაჟდება.



ყურადღება

– **რეკომენდებულია, რომ ყველა ოპერატორმა** ყურადღებით წაიკითხოს ეს ინსტრუქცია, რათა უსაფრთხოდ და გონივრულად გამოიყენოს აღნიშნული დანადგარი.

– **ეს ინსტრუქცია** დანადგარის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, აუცილებელია მისი შენახვა მომავალი გამოყენებისათვის და დანადგარის ახალი მფლობელისთვის გადაცემის ან მიყიდვის, ან ახალ სისტემაში მისი დაყენების შემთხვევაში თან უნდა ახლდეს მას.

– **ამ დანადგარის დაყენება და მომსახურება** უნდა განხორციელდეს კვალიფიცირებული კომპანიის ან პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ტექნიკოსის მიერ, ამ ინსტრუქციის მიხედვით. დაყენების დასრულებისას კომპანია ან ტექნიკოსი ადგენს შესაბამისობის ცნობას ეროვნული და ადგილობრივი ტექნიკური სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

– **დანადგარის ნებისმიერი შეკეთება** მხოლოდ პროფესიულად კვალიფიციურმა პერსონალმა უნდა ჩაატაროს მხოლოდ ორიგინალური სათადარიგო ნაწილების გამოყენებით. ამ ინსტრუქციის უგულებელყოფა შეიძლება გახდეს დანადგარის უსაფრთხოების შელახვის მიზეზი და დაუყოვნებლივ აუქმებს საგარანტიო პირობებს

– **Fonderie SIME S.p.A.** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე გააუმჯობესოს საკუთარი პროდუქცია მისი ძირითადი მახასიათებლების გაუარესების გარეშე. გრაფიკული ილუსტრაციები და/ან სურათები შეიძლება ასახავდეს დამატებით დეტალებს, რომლებიც ცვალებადობს იმ ქვეყნების მიხედვით, სადაც დანადგარი გამოიყენება.

– **მემონტაჟემ მომხმარებელს უნდა აუხსნას** მოწყობილობის მუშაობისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შესახებ. გარდა ამისა, მემონტაჟემ მონტაჟის დასრულების შემდეგ მომხმარებელს უნდა გადასცეს მოხმარებისა და შენახვის ინსტრუქცია.

აკრძალულია

– დანადგარის გამოყენება 8 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ. დანადგარის გამოყენება დაშვებულია 8 წლის და მეტი ასაკის ბავშვების, შეზღუდული გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობის მქონე, აგრეთვე შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების არმქონე პირების მიერ, თუ ისინი ზედამხედველობის ქვეშ არიან ან მათ აუხსნეს გამოყენების წესი და ისინი აცნობიერებენ გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკს.

– დანადგართან ბავშვების თამაში.

– ზედამხედველობის გარეშე მყოფი ბავშვების მიერ გაწმენდის ან მომსახურების ჩატარება.

– ელექტრული ხელსაწყოების, როგორებიცაა, მაგალითად, ჩამრთველები ან სხვა ელექტრული დანადგარების გამოყენება, თუ საწვავის სუნი იგრძნობა. ასეთ შემთხვევაში:
  - *გააღეთ კარები და ფანჯრები სათავსოს გასანიავებლად;*
  - *დაკეტეთ ბუნებრივი აირის მიწოდების მოწყობილობა;*
  - *დროულად მიმართეთ პროფესიონალურ დახმარებას.*

– დანადგართან შიშველი ფეხით ან სხეულის ნებისმიერი სველი ნაწილით შეხება.

– ტექნიკური ჩარევისა თუ გაწმენდის არანაირი ოპერაციის ჩატარება, ვიდრე არ გამორთავთ დანადგარს ელექტრული ქსელიდან მთავარი ჩამრთველის "OFF"პოზიციაში დაყენებით და არ გადაკეტავთ ბუნებრივი აირის მიწოდებას.

– უსაფრთხოების ან რეგულირების ხელსაწყოების დამამზადებლის ნებართვისა და ინსტრუქციის გარეშე შეცვლა.

აკრძალულია

– კონდესაციის გამომშვების (თუ წარმოდგენილია) შესაცვლელად ან შესაერთებლად.

– დანადგარიდან გამომავალი ელექტრული კაბელების მოქაჩვა, დაგრეხა ან გათიშვა მაშინაც კი, როცა დანადგარი გათიშულია ელექტრული ქსელიდან.

– ბოილერის დაყენება ატმოსფერულ აგენტებთან შეხებისგან დაუცველ ადგილებში. ამ ბოილერების დაყენება შესაძლებელია ნაწილობრივ გადახურულ გარემოში, EN 15502 მიხედვით, გარემოს ტემპერატურით არა უმეტეს 60 °C და არანაკლებ - 5 °C. რეკომენდებულია ბოილერის დაყენება სახურავის ქვეშ, აივანზე ან დაცულ ნიშში ატმოსფერული აგენტების (წვიმა, თოვლი, სეტყვა) ზემოქმედებისგან დასაცავად. ბოილერი სტანდარტულად აღჭურვილია ანტიფრიზის ფუნქციით.

– იმ სათავსოს სავენტილაციო ღიობების დახურვა ან შემცირება, სადაც დანადგარია დაყენებული, თუ ასეთები არსებობს.

– გათიშეთ დანადგარი ელექტრული და ბუნებრივი აირის ქსელებიდან, თუ გარე ტემპერატურა შესაძლოა <u>ნულის ქვემოთ</u> დაეცეს (გაყინვის საშიშროება).

– აალებადი ნივთიერებების შემცველი კონტეინერების დატოვება სათავსოში, სადაც დანადგარია დაყენებული.

– შეფუთვის მასალის უპასუხისმგებლოდ გადაყრა, რადგან ეს სახიფათოა. მოიცილეთ ის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

– ჰერმეტული კომპონენტების შესაცვლელად ან შესაკეთებლად.

ძვირფასო მომხმარებელო,
გმადლობთ **Sime Edea BF 30T** ბოილერის შეძენისთვის , რომელიც ახალი თაობის დაბალტემპერატურული მოდულაციური ხელსაწყოა და ტექნიკური თუ საექსპლოატაციო მონაცემებით შეუძლია გათბობისა და ცხელი წყლით დაუყოვნებლივ მომარაგების თქვენეული მოთხოვნილების დაკმაყოფილება უმაღლესი უსაფრთხოებით და შეზღუდული ხარჯებით.

ასორტიმენტი

მოდელი	CODICE
Edea BF 30T	8117970

ინსტრუქციის აგებულება

ინსტრუქცია შედგენილია შემდეგნაირად.

გამოყენების ინსტრუქცია..... 47

დანადგარის აღწერა 53

დაყენების და მომსახურების ინსტრუქცია 61

შესაბამისობა

ჩვენი კომპანია აცხადებს, რომ **Edea BF 30T** ბოილერები შესაბამისობაშია შემდეგ დირექტივებთან:
– აირის დანადგარების რეგულაცია EU 2016/426
– ბოილერის მქკ დირექტივა 92/42/EEC
– დაბალი ძაბვის დირექტივა 2014/35/EU
– ელექტრომაგნიტური თავსებადობის დირექტივა 2014/30/EU

CE

სერიული ნომერი და დამზადების თარიღი მითითებულია ტექნიკურ მონაცემთა ფირფიტაზე.

სიმბოლოები

ყურადღება
აღნიშნავს ქმედებას, რომელსაც შეუძლია ზოგადი ხასიათის სხეულის დაზიანება, დანადგარის დაზიანება ან გაუმართაობა გამოიწვიოს; ამდენად, ეს ქმედებანი განსაკუთრებულ სიფრთხილეს და შესაბამის მომზადებას მოითხოვს.

ელექტრული საფრთხე
აღნიშნავს ქმედებას, რომლის არასწორად ჩატარებას სხეულის ელექტრული ხასიათის დაზიანების გამოწვევა შეუძლია; ამდენად ეს ქმედებანი განსაკუთრებულ სიფრთხილეს და შესაბამის მომზადებას მოითხოვს.

აკრძალულია
აღნიშნავს ქმედებებს, რომლებიც დაუშვებელია.

გაფრთხილება
აღნიშნავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან და სასარგებლო ინფორმაციას.

გამოყენების ინსტრუქცია

სარჩევი

1 EDEA BF 30T ბოილერის გამოყენება 48
- 1.1 საკონტროლო პანელი . . . 48
- 1.2 წინასწარი შემოწმებები . . . 49
- 1.3 აალება . . . 49
- 1.4 გათბობის ტემპერატურის რეგულირება . . . 49
- 1.5 ცხელი წყლის ტემპერატურის არჩევა . . . 49
- 1.6 გაუმართაობის/დაზიანების კოდები . . . 50
  - *1.6.1 ტექმომსახურების მოთხოვნა . . . 50*


2 გამორთვა 50
- 2.1 ხანმოკლე გამორთვა . . . 50
- 2.2 გამორთვა ხანგრძლივი დროით . . . 51

3 მომსახურება 51
- 3.1 რეგულირება . . . 51
- 3.2 გარე გასუფთავება . . . 51
  - *3.2.1 გარსაცმის გასუფთავება . . . 51*

4 უტილიზაცია 51
- 4.1 დანადგარის უტილიზაცია (ევროპული დირექტივა 2012/19/EU) . . . 51

1 EDEA BF 30T ბოილერის გამოყენება

1.1 საკონტროლო პანელი



ნახ. 1

1 ფუნქციური ღილაკები

R ჩვეულებრივი მუშაობის დროს ერთხელ ან მეტჯერ მინიმუმ 1 წამის განმავლობაში დაჭერის შემთხვევაში ეს ღილაკი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეცვალოს მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი ციკლური მიმდევრობით (მოლოდინი — ზაფხული — ზამთარი). თუ მოწყობილობას ხარვეზი აქვს ხელახლა დაყენების შესაძლებლობით, ეს შეგიძლიათ გამოიყენოთ მის განსაბლოკად.

– ეს ღილაკი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ჩაიაროს პარამეტრების სია ან შეამციროს მათი მნიშვნელობები.

\+ ეს ღილაკი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ჩაიაროს პარამეტრების სია ან გაზარდოს მათი მნიშვნელობები.

პროგრამირების შემაერთებელის თავსახური.

2 რეგულატორები

გათბობის რეგულატორი საშუალებას აძლევს მომხმარებელს დააყენოს გათბობის ტემპერატურა 20- დან 80°C-მდე შუალედში მუშაობის ნორმალურ რეჟიმში.

ცხელი წყლის რეგულატორი საშუალებას აძლევს მომხმარებელს დააყენოს ცხელი წყლის ტემპერატურა 10-დან 60°C-მდე შუალედში მუშაობის ნორმალურ რეჟიმში.

შენიშვნა: *30 წამზე მეტ ხანს ნებისმიერი ღილაკის დაჭერა გამოიწვევს ხარვეზის გამოჩენას ეკრანზე (ALL 42) მოწყობილობის მუშაობის შეფერხების გარეშე. გაფრთხილება ქრება ნორმალური პირობების აღდგენის შემდეგ.*

3 დისფლეი

„ზაფხული“. ეს სიმბოლო ჩნდება, როცა ბოილერი მუშაობს „ზაფხულის“ რეჟიმში ან თუ სახლის ცხელი წყლის რეჟიმი ჩართულია დისტანციური მართვის მეშვეობით.

„ზამთარი“. სიმბოლო მოცემულია „ზამთრის“ სამუშაო რეჟიმში ან დისტანციური მართვისას, თუ ჩართულია როგორც სახლის ცხელი წყლის, ისე გათბობის რეჟიმები. მოციმციმე და სიმბოლოები მიუთითებს, რომ „საკვამურის მწმენდავის“ ფუნქცია აქტიურია.

RESET **„ხელახლა დაყენების მოთხოვნა“**. ეს სიტყვა მიუთითებს, რომ ხარვეზის გასწორების შემდეგ მოწყობილობის ნორმალური მუშაობა შეიძლება ხელახლა დაყენდეს R ღილაკზე დაჭერით.

“ცხელი წყალი”. ეს სიმბოლო ჩანს ცხელი წყლის მოთხოვნისას ან “საკვამურის მწმენდავის” ფუნქციისას. ის ციმციმებს ცხელი წყლის ტემპერატურის შერჩევის დროს.

“გათბობა”. ეს სიმბოლო ჩანს გათბობის რეჟიმში ან “საკვამურის მწმენდავის” ფუნქციისას. ის ციმციმებს გათბობის ტემპერატურის შერჩევის დროს.

”ბლოკირება” ალის არქონის გამო.

“ალი არის”.

„სიმძლავრის დონე“. მიუთითებს სიმძლავრის დონეზე, რომელზეც მუშაობს მოწყობილობა.

PAR **“პარამეტრი"**. ეს აჩვენებს, რომ მომხმარებელი პარამეტრების არჩევის/დაყენების, ან “ინფო”, ან “მრიცხველი”, ან “გააქტიურებული განგაშების” (ისტორია) რეჟიმშია.

ALL **“განგაში”**. ეს სიმბოლო გაუმართაობის მაჩვენებელია. რიცხვი აჩვენებს გაუმართაობის გამომწვევ მიზეზს.

“საკვამურის მწმენდავი". გვიჩვენებს, რომ “საკვამურის მწმენდავის ფუნქციაა” გააქტიურებული.

bar **“გათბობის სისტემის წნევა"**. აჩვენებს გათბობის სისტემის წნევას.

ECO **"ECO", ენერგიის ალტერნატიული წყაროები**. აჩვენებს სოლარული სისტემის არსებობას.

„მომსახურების მოთხოვნა“. თუ აქტიურია, ის მიუთითებს, რომ დროა, შეასრულოთ მოწყობილობის ტექმომსახურება.

1.2 წინასწარი შემოწმებები


ყურადღება

– თუ საჭირო გახდა დანადგარის ქვედა მხარესთან მიდგომა, დარწმუნდით, რომ სისტემის ნაწილები და მილები ცხელი არაა (დამწვრობის რისკი).
– გათბობის სისტემის შევსებამდე ჩაიცვით დამცავი ხელთათმანები.

Edea BF 30T თავდაპირველად უნდა აამუშაოს პროფესიონალურად კვალიფიცირებულმა პერსონალმა, რის შემდეგაც მოწყობილობამ შეიძლება იმუშაოს ავტომატურად. შესაძლოა მომხმარებელს დასჭირდეს მოწყობილობის ავტომატურად გადატვირთვა, ტექნიკოსთან დაკავშირების გარეშე; მაგალითად, არდადეგების შემდეგ.
პირველ ყოვლისა დარწმუნდით, რომ აირის და წყალგაყვანილობის ჩამკეტი სარქველები ღიაა.


1.3 აალება

წინასწარი შემოწმებების დასრულების შემდეგ აამუშავეთ **Edea BF 30T**:
– დააყენეთ სისტემის მთავარი ჩამრთველი პოზიციაში “ON” იმისათვის, რომ დისფლეიზე გამოჩნდეს სისტემაში წნევის მნისვნელობა შევსების დროს
– **დარწმუნდით, რომ სამუშაო რეჟიმია “მოლოდინი”;** თუ ეს ასე არაა, დააჭირეთ ⏻R ღილაკს ვიდრე “მოლოდინის რეჟიმს” არ აირჩევთ




ნახ. 2

– დისფლეიზე (1) შეამოწმეთ, რომ ცივზე გათბობის სისტემაში წნევა **1-1.2 ბარია**. თუ ასე არაა, გააღეთ შემავსებელი სარქველი, რომელიც სისტემაში დაბრუნებაზე უნდა იყოს წინასწარ გათვალისწინებული და შეავსეთ სისტემა, ვიდრე დისფლეიზე ჩვენება **1-1.2 ბარი** არ გახდება
– დაკეტეთ შემავსებელი სარქველი




ნახ. 3

– აირჩიეთ “ზაფხულის” (🔔) სამუშაო რეჟიმი ⏻R ღილაკის მინიმუმ 1 წამით დაჭერით. დისფლეიზე აისახება მიწოდების სენსორის მიერ იმ მომენტისათვის გაზომილი ტემპერატურა




– მოუშვით ცხელი წყლის ერთი ან რამდენიმე ონკანი. **Edea BF 30T** იმუშავებს მაქსიმალურ სიმძლავრეზე, სანამ ონკანი ან ონკანები არ დაიკეტება.

მას შემდეგ, რაც **Edea BF 30T** „ზაფხულის რეჟიმში“ გადავა ☀, ⏻R ღილაკზე მინიმუმ 1 წამის განმავლობაში დაჭერით შესაძლებელია „ზამთრის რეჟიმის“ ❄ არჩევა. ეკრანზე გამოისახება მიწოდებული წყლის ტემპერატურა იმ დროს გაზომვის შედეგად. ამ შემთხვევაში საჭიროა ოთახის თერმოსტატ(ებ)ის კორექტირება სასურველ ტემპერატურაზე ან, თუ სისტემა აღჭურვილია ტაიმერით კონტროლირებული თერმოსტატით, შეამოწმეთ, რომ ის არის „აქტიური“ და კორექტირებული.



1.4 გათბობის ტემპერატურის რეგულირება


Edea BF 30T-ის მიწოდების ტემპერატურა რომ გაზარდოთ ან შეამციროთ, კონკრეტული პარამეტრის შეცვლის ნაცვლად, შესაძლებელია, ჩართოთ რეგულატორი |||| მართვის პანელზე. ტემპერატურა შეიძლება დაყენდეს 20-დან 80°C-მდე.



ნახ. 4

1.5 ცხელი წყლის ტემპერატურის არჩევა

თუ გსურთ გაზარდოთ ან შეამციროთ საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის ტემპერატურა, გამოიყენეთ 🚰 ღილაკი მართვის პანელზე. შესაძლო პარამეტრია 10-დან 60 ° C-მდე.




ნახ. 5

1.6 გაუმართაობის/დაზიანების კოდები


თუ **Edea BF 30T**-ის მუშაობის განმავლობაში ანომალია/ხარვეზი დაფიქსირდება, ეკრანზე ნაჩვენები იქნება **„ALL“**, რომელსაც მოჰყვება ანომალიის კოდი.

თუ ხედავთ განგაშს **"02"**, (წყლის დაბალი წნევა სისტემაში):
– დისფლეიზე (1) შეამოწმეთ, რომ ცივზე გათბობის სისტემაში წნევა **1-1.2 ბარია**. თუ ასე არაა, გააღეთ შემავსებელი სარქველი, რომელიც სისტემაში დაბრუნებაზე უნდა იყოს წინასწარ გათვალისწინებული და შეავსეთ სისტემა, ვიდრე დისფლეიზე ჩვენება **1-1.2 ბარი** არ გახდება
– დაკეტეთ შემავსებელი სარქველი




ნახ. 6

თუ ხედავთ განგაშს **"06"**, (ალი არ არის) და **"07"** (დამცავი თერმოსტატის ამოქმედება):
– დააჭირეთ ღილაკს ⏻R 3 წამზე უფრო ხანგრძლივად და შეამოწმეთ, აღდგენილია თუ არა ნორმალური მუშაობის პირობები.



თუ ეს მოქმედება უშედეგოა **მხოლოდ ერთი დამატებითი ცდა** შეიძლება, შესაბამისად:
– დაკეტეთ ბუნებრივი აირის მიწოდების სარქველი
– გადაიყვანეთ სისტემის მთავარი ჩამრთველი პოზიციაში "OFF"
– დაუკავშირდით პვალიფიციურ ტექნიკურ პერსონალს.




ნახ. 7

გაფრთხილება
თუ გაუმართაობის სიგნალი აქ აღწერილი არაა, დაუკავშირდით კვალიფიციურ ტექნიკურ პერსონალს

1.6.1 ტექმომსახურების მოთხოვნა

როდესაც ბოილერის ტექნიკური მომსახურების დრო დადგება, დისფლეიზე სიმბოლო გამოჩნდება.




დაუკავშირდით ტექნიკური დახმარების სამსახურს საჭირო სამუშაოთა ჩასატარებლად.


2 გამორთვა

2.1 ხანმოკლე გამორთვა

Edea BF 30T-ის მუშაობის დროებით შესაჩერებლად დააჭირეთ ღილაკს ⏻R მინიმუმ 1 წამის განმავლობაში ერთხელ „ზამთრის რეჟიმიდან“ ან ორჯერ „ზაფხულის რეჟიმიდან“ .
დისფლეიზე აისახება **"- -"**.



ელექტრული საფრთხე
ბოილერის ელექტროკვება ჩართული დარჩება.
თუ მომხმარებელი დროებით მიდის, მაგალითად კვირის ბოლოს, ან მოკლე მოგზაურობაში, გარე ტემპერატურა კი ნულთან ახლოსაა:
– დააჭირეთ ღილაკს ⏻R ერთხელ „ზამთრის რეჟიმიდან“ ან ორჯერ „ზაფხულის რეჟიმიდან“ იმისთვის, რომ გადაიყვანოთ **Edea BF 30T** მოლოდინის რეჟიმში
– გადაიყვანეთ სისტემის მთავარი ჩამრთველი პოზიციაში "OFF"
– დაკეტეთ ბუნებრივი აირის მიწოდების სარქველი.




ნახ. 8

გაფრთხილება
თუ გარე ტემპერატურა შესაძლოა ნულს ქვემოთ დაეცეს, ვინაიდან ბოილერი “ანტიფრიზის ფუნქციითაა” აღჭურვილი:
– მხოლოდ გადაიყვანეთ ბოილერი მოლოდინის რეჟიმში
– დატოვეთ სისტემის მთავარი გადამრთველი „ON“ (ჩართულ) მდგომარეობაში (მოწყობილობას მიეწოდება ელექტროენერგია)
– ღია დატოვეთ აირის სარქველი.


2.2 გამორთვა ხანგრძლივი დროით

თუ ბოილერი ხანგრძლივად უნდა იყოს უმოქმედოდ, შემდეგი ნაბიჯებია გადასადგმელი:

– დააჭირეთ ღილაკს ⏻R მინიმუმ 1 წამის განმავლობაში ერთხელ „ზამთრის რეჟიმიდან“ ❄ ან ორჯერ „ზაფხულის რეჟიმიდან“ ☀ იმისთვის, რომ გადაიყვანოთ **Edea BF 30T** მოლოდინის რეჟიმში. ეკრანზე გამოჩნდება „- -“



– გადაიყვანეთ სისტემის მთავარი ჩამრთველი პოზიციაში "OFF"



ნახ. 9

– დაკეტეთ ბუნებრივი აირის მიწოდების სარქველი
– დაკეტეთ გათბობისა და ცხელი წყლის სისტემათა საიზოლაციო სარქველები
– გამოუშვით გათბობისა და ცხელი წყლის სისტემებიდან წყალი, თუ გაყინვის საშიშროება არსებობს.

გაფრთხილება
თუ პროცედურას ვერ ატარებთ, მიმართეთ პვალიფიციურ ტექნიკურ პერსონალს-ს.

3 მომსახურება

3.1 რეგულირება

დანადგარის გამართული და შედეგიანი მუშაობისთვის რეკომენდებულია, რომ მომხმარებელმა მიმართოს პროფესიულად კვალიფიციურ ტექნიკოსს **ყოველწლიური** მომსახურების ჩატარების მიზნით.

გაფრთხილება
ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კვალიფიციური პროფესიონალების მიერ დაყენებისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციის მითითებების მიხედვით.

3.2 გარე გასუფთავება

ყურადღება
– თუ საჭირო გახდა დანადგარის ქვედა მხარესთან მიდგომა, დარწმუნდით, რომ სისტემის ნაწილები და მილები ცხელი არაა (დამწვრობის რისკი).
– ვიდრე მომსახურებას შეუდგებით, ჩაიცვით დამცავი ხელთათმანები.

3.2.1 გარსაცმის გასუფთავება

გარსაცმის გასუფთავებისას შეგიძლიათ საპნიანი წყლით ან სპირტით დანოტივებული ქსოვილის გამოყენება მდგრადი ლაქების მოსაცილებლად.

აკრძალულია
სახეხი ნივთიერების გამოყენება.

4 უტილიზაცია

4.1 დანადგარის უტილიზაცია (ევროპული დირექტივა 2012/19/EU)

გამოყენების ვადის ამოწურვის შემდეგ საოჯახო მეურნეობებიდან შემოსული ან საოჯახო მეურნეობის ნარჩენებად კლასიფიცირებული დანადგარები, ელექტრული და ელექტრონული ხელსაწყოები უნდა მიეწოდოს შესაბამისი ნარჩენების შემგროვებელ სამსახურს კანონისა და 2012/19/EU დირექტივის შესაბამისად. ეს ნაკეთობა ისეთნაირადაა დაპროექტებული და დამზადებული, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, თუმცა ის შეიცავს ნაწილებს, რომლებიც არასწორი მოპყრობისას შესაძლოა ზიანის მომტანი გახდეს. აქ და თქვენს დანადგარზე გამოსახული სიმბოლო (გადახაზული გორგოლაჭებიანი სანაგვე), აღნიშნავს იმას, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ დანადგარს უნდა მოვექცეთ, როგორც ელექტრულ და ელექტრონულ ნარჩენს. ვიდრე დანადგარს უტილიზაციაში ჩააბარებთ, მიიღეთ კონსულტაცია გამოყენების ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, აგრეთვე უტილიზაციის ავტორიზებული ორგანიზაციების შესახებ.

აკრძალულია
ნაკეთობის უტილიზაცია ყოფით ნარჩენებთან ერთად.

დანადგარის აღწერა

სარჩევი

5 დანადგარის აღწერა 54
5.1 მახასიათებლები 54
5.2 კონტროლის და უსაფრთხოების მოწყობილობები . . 54
5.3 სიმბოლოები მოწყობილობაზე 54
5.4 იდენტიფიცირება 54
5.5 კონსტრუქცია 55
5.6 ტექნიკური მახასიათებლები 56
5.7 წყლის ძირითადი კონტური 57
5.8 სენსორები 57
5.9 გაფართოების რეზერვუარი 57
5.10 ცირკულაციური ტუმბო 58
5.11 საკონტროლო პანელი 59
5.12 ელექტრული სქემა 60

5 დანადგარის აღწერა

5.1 მახასიათებლები

Edea BF 30T უკანასკნელი თაობის კედლის დაბალტემპერატურული ბოილერებია, რომლებსაც **Sime** აწარმოებს გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის ცხელი წყლის ავზთან ერთობლიობაში. **Sime**-ს მიერ **Edea BF 30T**ბოილერებში გამოყენებული ძირითადი კონტრუქციული გადაწყვეტილებებია:

– ატმოსფერული სანთურა სპილენძის თბომცვლელთან ერთობლიობაში გათბობისათვის
– ჰერმეტული წვის კამერა, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც “C ტიპის” ან “B ტიპის”, დაყენების სათავსოს და ნამწვის გამოსავალის დაყენების პროცესში არჩეული კონფიგურაციის მიხედვით
– კონტროლისა და მართვის მიკროპროცესორული ელექტრონული პლატა, რომელიც უზრუნველყოფს გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების ეფექტურ მართვას. გათვალისწინებულია მასთან როგორც დისტანციური მართვის Open Therm პროტოკოლით შეერთების, აგრეთვე ოთახის თერმოსტატის და/ან გარე სენსორის მიერთების შესაძლებლობებიც. გარე სენსორთან დაკავშირებისას ბოილერის ტემპერატურის ცვალებადობა გარე ტემპერატურის ცვლილების შესაბამისად ხდება შერჩეული ოპტიმალური კლიმატური მრუდის საფუძველზე, რაც საგრძნობ ენერგეტიკულ და ეკონომიკურ დანაზოგებს იძლევა.

Edea BF 30T ბოილერების სხვა განსაკუთრებული თვისებებია:

– ანტიფრიზის ფუნქცია, რომელიც ავტომატურად აქტიურდება, თუ ბოილერის შიგნით წყლის ტემპერატურა ზღურბლზე უფრო ქვევით ეცემა. ეს მნიშვნელობა “PAR 10” სახით არის დაყენებული. გარე სენსორის არსებობისას, გააქტიურება ხდება გარე ტემპერატურის ზღურბლს ქვევით დაშვებისას. ეს მნიშვნელონა “PAR 11” სახით არის დაყენებული
– ტუმბოსა და გადამრთველი სარქველის დაბლოკვის საწინააღმდეგო ფუნქცია. ის ავტომატურად აქტიურდება 24 საათში ერთხელ, თუ თუ გათბობის მოთხოვნა არ გაკეთებულა
– საკვამურის მწმენდავის ფუნქცია 15 წუთის ხანგრძლივობისაა და აიოლებს კვალიფიციური ტექნიკოსის საქმეს პარამეტრების და წვის ეფექტურობის გაზომვისას და მფრქვევანაში ბუნებრივი აირის წნევის შემოწმებისას
– სამუშაო და თვითდიაგნოსტიკის პარამეტრების დისფლეი გაუმართაობის კოდებით, როდესაც გაუმართაობა დაიმზირება. ეს აიოლებს შესაკეთებელ ჩარევას და დანადგარის გამართული მუშაობის აღდგენას.

5.2 კონტროლის და უსაფრთხოების მოწყობილობები

Edea BF 30Tბოილერები აღჭურვილია კონტროლისა და უსაფრთხოების შემდეგი მოწყობილობებით:

– სითბური უსაფრთხოების სენსორი 100°C
– 3 ბარზე გათვლილი წნევის დამცავი სარქველით
– გათბობის წყლის წნევის გარდამქნელი
– მიწოდების სენსორით
– ცხელი წყლის სენსორით.

აკრძალულია
დანადგარის ამუშავება უსაფრთხოების უვარგისი ან ნაწვალები მოწყობილობებით.

ყურადღება
უსაფრთხოების მოწყობილობის შეცვლა შეუძლია მხოლოდ პროფესიულად კვალიფიციურ პერსონალს მხოლოდ**Sime**-ს ორიგინალური სათადარიგო ნაწილების გამოყენებით.

5.3 სიმბოლოები მოწყობილობაზე


მოწყობილობა აღნიშნულია შემდეგი სიმბოლოებით:

სიმბოლო	აღწერილობა
	მიუთითებს მოწყობილობის განსაკუთრებულად საშიშ ზონებს.
	მიუთითებს მოწყობილობაში მოქმედი ელექტრული ნაწილების არსებობაზე.
	მიუთითებს რომ ხელსაწყოზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაგალითად ინსტრუქცია.
	მიუთითებს რომ მოწყობილობის მონტაჟზე მომუშავე პერსონალი უნდა მიჰყვეს ინსტრუქციას.
	მიუთითებს რომ ინსტრუქციის წაკითხვა სავალდებულოა.
	მიუთითებს რომ მოწყობილობა დამიწების სისტემას უნდა დაუკავშირდეს.

5.4 იდენტიფიცირება

Edea BF 30T ბოილერის იდენტიფიცირება შესაძლებელია:


1 **შეფუთვის მარკირებით:** ის განლაგებულია შეფუთვის გარეთ და მასზე მითითებულია კოდი, ბოილერის სერიული ნომერი და შტრიხ-კოდი
2 **მონაცემთა ფირფიტით:** ის მდებარეობს ბოილერის წინა პანელის შიგნითა მხარეს და მასზე მოყვანილია მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლები და კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.



ნახ. 10

გაფრთხილება
საიდენტიფიკაციო ფირფიტის მოხსნა, გაყალბება ან არ წარმოდგენა, ან რაიმე სხვა ქმედება, რომელიც აფერხებს პროდუქტის საიმედო იდენტიფიცირებას ან მის დაყენებას და მომსახურებას.

5.5 კონსტრუქცია



1 *ვენტილატორი **(V)***
2 *ორმაგი სენსორი (მიწოდება/ თერმული უსაფრთხოებს)*
3 *წვის კამერა*
4 *აალების/დეტექტირების ელექტროდი **(EAR)***
5 *სოლენოიდის სარინი სარქველი **(EVD)***
6 *საკონტროლო პანელი*
7 *ბუნებრივი აირის სარქველი*
8 *წყლის წნევის გარდამქმნელი **(TPAC)***
9 *სისტემის დამცავი სარქველი **(VS)***
10 *ბოილერი დრენაჟი*
11 *სისტემის ტუმბო **(PI)***
12 *ჰაერის დაცლის ავტომატური სარქველი*
13 *სანთურა **(BR)***
14 *პირველადი თბომცვლელი*
15 *გაფართოების რეზერვუარი **(VE)***
16 *ნამწვის წნევის რელე*
17 *ნამწვის გამოსავალი **(CSFU)***

ნახ. 11

5.6 ტექნიკური მახასიათებლები


აღწერა		Edea BF
		30T
სერტიფიკატები		
გამოყენების ქვეყნები		RU - GE
საწვავი		G20; G30/G31
PIN რიცხვი		961M
კატეგორია		II2H3+
ტიპი		B22P - B32P - B52P - C12 - C12X - C32 - C32X - C42 - C42X - C52 - C52X - C62 - C62X - C82 - C82X - C92 - C92X
ცხელი წყლის ნომინალური სითბოს გამოსავალი (***)	კვტ	0
NO_x კლასი		3 (< 150 მგ/კვტსთ)
გათბობის მახასიათებლები		
სითბოს შესავალი		
ნომინალური	კვტ	30,0
მინიმალური	კვტ	10,8
გათბობის გამოსავალი		
ნომინალური (80-60°C)	კვტ	28,1
მინიმალური (80-60°C)	კვტ	9,2
მქკ		
მაქს. მქკ (80-60°C)	%	93,7
მინ. მქკ (80-60°C)	%	85,2
მქკ 30 %-ით დატვირთვისას (50-80°C)	%	91,1
სითბური მქკ (EEC 92/42)		★★★
დანაკარგები 50°C-ზე გამორთვისას	W	75
ელექტრული მხასიათებლები		
ძაბვა ქსელში	V	230
სიხშირე	ჰც	50
მოხმარებული სიმზლავრე	W	113
ელექტრული დაცვის ხარისხი	IP	X5D
წვის მახასიათებლები		
ნამწვის ტემპერატურა მაქს/მინ ნაკადისას (80-60°C)	°C	151,9 / 100,8
ნამწვის მაქს/მინ ნაკადი	g/s	19 /19
	kg/h	68,4 / 68,4
CO_2 მაქს/მინ (G20) ნაკადისას გაცალკევებული საკვამურით	%	7,1 / 2,3
CO_2 მაქს/მინ (G30/G31) ნაკადისას გაცელკევებული საკვამურით	%	7,8 /2,7
მფრქვევანა – აირი		
მფრქვევანების რიცხვი	ც	13
მფრქვევანას დიამეტრი (G20)	მმ	1,30
მფრქვევანას დიამეტრი (G30/G31)	მმ	0,78
აირის ხარჯი მაქ/მინ ნაკადისას (G20)	$მ^3$/სთ	3,17 / 1,14
აირის ხარჯი მაქ/მინ ნაკადისას (G30)	kg/h	2,36 / 0,85
აირის ხარჯი მაქ/მინ ნაკადისას (G31)	kg/h	2,33 / 0,84
მიწოდებული აირის წნევა (G20)	მბარი	20
	კპა	2
მიწოდებული აირის წნევა (G30/G31)	მბარი	29 / 37
	კპა	2,9 / 3,7
ტემპერატურა-წნევა		
მაქს. სამუშაო ტემპერატურა	°C	85
გათბობის ტემპერატურის რეგულირების შუალედი	°C	20 ÷ 80
ცხელი წყლის ტემპერატურის რეგულირების შუალედი	°C	10 ÷ 60
მაქს. სამუშაო წნევა	ბარი	3
	კპა	300
ბოილერში წყლის შემცველობა	l	3,65

(***) მხოლოდ გარე ქვაბთან კომბინაციის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ატმოსფერული და კონდენსატორული ქვაბებისთვის დადგენილი სიმძლავრე (მაგ. 25 კვტ)

სითბოს ქვედა გამოსავალი (Hi)

***G20 Hi.** 9.45 კვტ/$მ^3$ (15°C, 1013 მლბარი) - **G30 Hi.** 12.68 კვტ/კგ (15°C, 1013 მლბარი) - **G31 Hi.** 12.87 კვტ/კგ (15°C, 1013 მლბარი)*

5.7 წყლის ძირითადი კონტური



ნახ. 12

აღნიშვნები:

M	*სისტემის მიწოდება*
R	*სისტემაში დაბრუნება*
Mb	*ცხელი წყლის ავზის მიწოდება*
Rb	*ცხელი წყლის ავზის დაბრუნება*
S	*დამცავი სარქველის გამოსავალი*
G	*აირის მიწოდება*
U	*ცხელი წყლის გამოსავალი*
E	*ცხელი წყლის შესავალი*

1 *ვენტილატორი **(V)***
2 *თბომცვლელი (მონოთერმული)*
3 *ორმაგი სენსორი (მიწოდება/ თერმული უსაფრთხოებს)*
4 *წვის კამერა*
5 *ბუნებრივი აირის სარქველი*
6 *გადამრთველი სარქველი **(VD)***
7 *ავტომატური ბაიპასი*
8 *ჰაერის დაცლის ავტომატური სარქველი*
9 *სისტემის ტუმბო **(PI)***
10 *სისტემის დამცავი სარქველი **(VS)***
11 *წყლის წნევის გარდამქმნელი **(TPAC)***
12 *ბოილერი დრენაჟი*
13 *გაფართოების რეზერვუარი **(VE)***
14 *ცხ.წყლის ავზი*
15 *მაგნიუმის ანოდი*
16 *ცხელი წყლის სენსორი **(SS)***
17 *ცხელი წყლის ავზის დასაცლელი სარქველი*
18 *ცხელი წყლის გაფართოების ავზი **(VE)***
19 *ცხელი წყლის ავზის დამცავი სარქველი **(VS)***
20 *ცხელი წყლის შესავალი სარქველი*

5.8 სენსორები

დაყენებულ სენსორებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:
– ორმაგი სენსორი (თერმული უსაფრთხოება/გამოსავალი) NTC R25oC; 10კომი β25°-85°C: 3435
– ცხელი წყლის სენსორი NTC R25°C; 10კომი β25°-85°C: 3435
– გარე ტემპერატურის სენსორი NTC R25oC; 10კომი β25°-85°C: 3435

გაზომილი ტემპერატურის/წინაღობის შესაბამისობა
ჩვენების მაგალითები:
TR=75°C → R=1925Ω
TR=80°C → R=1669Ω.

TR	0°C	1°C	2°C	3°C	4°C	5°C	6°C	7°C	8°C	9°C	წინაღობა R (Ω)
0°C	27279	26135	25044	24004	23014	22069	21168	20309	19489	18706	
10°C	17959	17245	16563	15912	15289	14694	14126	13582	13062	12565	
20°C	12090	11634	11199	10781	10382	9999	9633	9281	8945	8622	
30°C	8313	8016	7731	7458	7196	6944	6702	6470	6247	6033	
40°C	5828	5630	5440	5258	5082	4913	4751	4595	4444	4300	
50°C	4161	4026	3897	3773	3653	3538	3426	3319	3216	3116	
60°C	3021	2928	2839	2753	2669	2589	2512	2437	2365	2296	
70°C	2229	2164	2101	2040	1982	1925	1870	1817	1766	1717	
80°C	1669	1622	1577	1534	1491	1451	1411	1373	1336	1300	
90°C	1266	1232	1199	1168	1137	1108	1079	1051	1024	998	
100°C	973										

5.9 გაფართოების რეზერვუარი

ბოილერები აღჭურვილია შემდეგი მახასიათებლების მქონე გაფართოების რეზერვუარებით:

აღწერა	ერთეული	Edea BF
		30T
საერთო მოცულობა	l	9,0
შევსებისწინა წნევა	კპა	100
	ბარი	1,0
სასარგებლო მოცულობა	l	5,0
სისტემის მაქსიმალური შემცველობა	l	124


(*) პირობები:
საშუალო სამუშაო ტემპერატურა 70°C
(მაღალტემპერატურული სისტემით 80/60°C)
სისტემის შევსების საწყისი ტემპერატურა 10°C.

გაფრთხილება
– სისტემებისთვის, რომელთა მაქსიმალური შემცველობა აღემატება ცხრილში მოყვანილს, საჭიროა დამატებითი გაფართოების რეზერვუარი.
– სიმაღლეთა სხვაობა დამცავ სარქველსა და სისტემის უმაღლეს წერტილს შორის არ უნდა აღემატებოდეს 6 მეტრს. თუ ეს სხვაობა 6მ-ზე მეტია, გაზარდეთ შევსებისწინა წნევა ცივი სისტემისთვის 0,1 ბარით ყოველი დამატებითი მეტრისთვის.

5.10 ცირკულაციური ტუმბო

გათბობის სისტემის დაწნევა/ნაკადის მახასიათებელი მრუდი ქვემოთაა მოყვანილი.


ნარჩენი დაწნევა (მბარი)



ნახ. 13

ქვედა გრაფიკზე მოყვანილია დაწნევის გრაფიკი დისტანციური ცხელი წყლის ავზის სპირალისათვის.


ნარჩენი დაწნევა (მბარი)



ნახ. 14

გაფრთხილება
დანადგარი აღჭურვილია ბაიპასით, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ცირკულაციას ბოილერში, როდესაც სისტემაში თერმოსტატური სარქველები ან ონკანებია გამოყენებული.

5.11 საკონტროლო პანელი



ნახ. 15

1 ფუნქციური ღილაკები

R ჩვეულებრივი მუშაობის დროს ერთხელ ან მეტჯერ მინიმუმ 1 წამის განმავლობაში დაჭერის შემთხვევაში ეს ღილაკი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეცვალოს მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი ციკლური მიმდევრობით (მოლოდინი — ზაფხული — ზამთარი). თუ მოწყობილობას ხარვეზი აქვს ხელახლა დაყენების შესაძლებლობით, ეს შეგიძლიათ გამოიყენოთ მის განსაბლოკად.

– ეს ღილაკი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ჩაიაროს პარამეტრების სია ან შეამციროს მათი მნიშვნელობები.

\+ ეს ღილაკი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ჩაიაროს პარამეტრების სია ან გაზარდოს მათი მნიშვნელობები.

პროგრამირების შემაერთებელის თავსახური.

2 რეგულატორები

გათბობის რეგულატორი საშუალებას აძლევს მომხმარებელს დააყენოს გათბობის ტემპერატურა 20- დან 80°C-მდე შუალედში მუშაობის ნორმალურ რეჟიმში.

ცხელი წყლის რეგულატორი საშუალებას აძლევს მომხმარებელს დააყენოს ცხელი წყლის ტემპერატურა 10-დან 60°C-მდე შუალედში მუშაობის ნორმალურ რეჟიმში.

შენიშვნა: *30 წამზე მეტ ხანს ნებისმიერი ღილაკის დაჭერა გამოიწვევს ხარვეზის გამოჩენას ეკრანზე (ALL 42) მოწყობილობის მუშაობის შეფერხების გარეშე. გაფრთხილება ქრება ნორმალური პირობების აღდგენის შემდეგ.*

3 დისფლეი

„ზაფხული“. ეს სიმბოლო ჩნდება, როცა ბოილერი მუშაობს „ზაფხულის“ რეჟიმში ან თუ სახლის ცხელი წყლის რეჟიმი ჩართულია დისტანციური მართვის მეშვეობით.

„ზამთარი“. სიმბოლო მოცემულია „ზამთრის“ სამუშაო რეჟიმში ან დისტანციური მართვისას, თუ ჩართულია როგორც სახლის ცხელი წყლის, ისე გათბობის რეჟიმები. მოციმციმე და სიმბოლოები მიუთითებს, რომ „საკვამურის მწმენდავის“ ფუნქცია აქტიურია.

RESET **„ხელახლა დაყენების მოთხოვნა“**. ეს სიტყვა მიუთითებს, რომ ხარვეზის გასწორების შემდეგ მოწყობილობის ნორმალური მუშაობა შეიძლება ხელახლა დაყენდეს R ღილაკზე დაჭერით.

“ცხელი წყალი”. ეს სიმბოლო ჩანს ცხელი წყლის მოთხოვნისას ან “საკვამურის მწმენდავის” ფუნქციისას. ის ციმციმებს ცხელი წყლის ტემპერატურის შერჩევის დროს.

“გათბობა”. ეს სიმბოლო ჩანს გათბობის რეჟიმში ან “საკვამურის მწმენდავის” ფუნქციისას. ის ციმციმებს გათბობის ტემპერატურის შერჩევის დროს.

”ბლოკირება” ალის არქონის გამო.

“ალი არის”.

„სიმძლავრის დონე“. მიუთითებს სიმძლავრის დონეზე, რომელზეც მუშაობს მოწყობილობა.

PAR **“პარამეტრი"**. ეს აჩვენებს, რომ მომხმარებელი პარამეტრების არჩევის/დაყენების, ან “ინფო”, ან “მრიცხველი”, ან “გააქტიურებული განგაშების” (ისტორია) რეჟიმშია.

ALL **“განგაში”**. ეს სიმბოლო გაუმართაობის მაჩვენებელია. რიცხვი აჩვენებს გაუმართაობის გამომწვევ მიზეზს.


“საკვამურის მწმენდავი". გვიჩვენებს, რომ “საკვამურის მწმენდავის ფუნქციაა” გააქტიურებული.

bar **“გათბობის სისტემის წნევა"**. აჩვენებს გათბობის სისტემის წნევას.

ECO **"ECO", ენერგიის ალტერნატიული წყაროები**. აჩვენებს სოლარული სისტემის არსებობას.

„მომსახურების მოთხოვნა“. თუ აქტიურია, ის მიუთითებს, რომ დროა, შეასრულოთ მოწყობილობის ტექმომსახურება.

5.12 ელექტრული სქემა



L	*ქსელი*	***VD***	*გადამრთველი სარქველი*	***BL***	*ლურჯი*
N	*ნული*	***TPAC***	*წყლის წნევის გარდამქმნელი*	***BR***	*ყავისფერი*
FU	*მცველი (3.15AT -250з)*	***TA-TA2***	*ჰაერის თერმოსტატი*	***BK***	*შავი*
TRA	*აალების ტრანსფორმატორი*	***EXP***	*გაფართოების ბარათი*	***G***	*მწვანე*
PI	*სისტემის ტუმბო*	***SE***	*გარე სენსორი*	***OR***	*ნარინჯისფერი*
V	*ვენტილატორი*	***SBL***	*ცხელი წყლის ავზის სენსორი (ACS)*	***R***	*წითელი*
EAR	*აალების/დეტექტირების ელექტროდი*	***CR***	*დიტანციური მართვა (ჰაერის თერმოსტატის ნაცვლად)*	***WH***	*თეთრი*
EVG	*აირის სოლენოიდური სარქველი*	***PAR***	*ჰაერის წნევის რელე*		
SM1-2	*ორმაგი სენსორი (მიწოდება/ თერმული უსაფრთხოებს)*				

“ჰაერის თერმოსტატის, ან ალტერნატიულად, ”დისტანციური მართვის” მისაერთებლად მოხსენით 5-6 კონტაქტების შემაერთებელი გადაბმა.

ნახ. 16

გაფრთხილება
მომხმარებელი ვალდებულია:

- გამოიყენოს ავტომატური გამთიშველი, გამორთოს ის EU სტანდარტების შესაბამისად **რაც უზრუნველყოფს სრულ გათიშვას გადაძაბვის III კატეგორიის პირობებს (ანუ სულ, მცირე 3 მმ დაშორებას ღია კონტაქტებს შორის)**.
- დაიცვას F(ფაზა) - N(ნულის) შეერთება.
- უზრუნველყოს, რომ ძალოვანი კაბელის შეცვლა მხოლოდ შეკვეთილი სათადარიგო კაბელით მოხდეს და კვალიფიციურმა პერსონალმა განახორციელოს.

გაფრთხილება
მომხმარებელი ვალდებულია:

- დამიწების მავთული შეუერთდეს დამიწების ხარისხიან სისტემას. **დამამზადებელი პასუხს არ აგებს არანაირ ზარალზე, რომელიც დანადგარის დამიწების ან ელექტრული სქემით მოწოდებული ინფორმაციის უგულებელყოფითაა გამოწვეული**.

აკრძალულია
წყალგაყვანილობის მილების დამიწებისთვის გამოყენება.

დაყენების და მომსახურების ინსტრუქცია

სარჩევი

6 დაყენება 62
- 6.1 ნაწარმის მიღება . . . 62
- 6.2 ზომები და წონა . . . 62
- 6.3 მოპყრობა . . . 62
- 6.4 დაყენების სათავსო . . . 62
- 6.5 ახალი დანადგარის დაყენება ან ძველი დანადგარის ჩანაცვლება . . . 63
- 6.6 სისტემის გასუფთავება . . . 63
- 6.7 წყლის სისტემის დამუშავება . . . 63
- 6.8 ბოილერის დაყენება . . . 64
- 6.9 მილგაყვანილობის შეერთებები . . . 64
  - *6.9.1 მილგაყვანილობის დეტალები (არჩევითი)64*
- 6.10 ბუნებრივი აირის მიწოდება . . . 64
- 6.11 ნამწვის გამოსავალი და წვის ჰაერის შესავალი . 65
  - *6.11.1 კოაქსიალური მილი (Ø 60/100 მმ and Ø 80/125მმ) . . . 66*
  - *6.11.2 განცალკევებული მილები (Ø 80მმ) . . . 66*
- 6.12 ელექტრული შეერთებები . . . 68
  - *6.12.1 გარე სენსორი . . . 69*
  - *6.12.2 ქრონოთერმოსტატი და ჰაერის თერმოსტატი . . . 69*
  - *6.12.3 ბრძანების/კონტროლის მოწყობილობის გამოყენების მაგალითი გათბობის ზოგიერთი სისტემისათვის . . . 69*
- 6.13 შევსება და დაცლა . . . 70
  - *6.13.1 შევსება . . . 70*
  - *6.13.2 დაცლა . . . 71*

7 ამოქმედება 72
- 7.1 წინასწარი მოქმედებები . . . 72
- 7.2 ამოქმედებამდე . . . 72
- 7.3 პარამეტრის დაყენება და ნახვა . . . 72
- 7.4 პარამეტრების ჩამონათვალი . . . 73
- 7.5 სამუშაო მონაცემების და მრიცხველების ჩვენება . . 75
- 7.6 შემოწმება და შეცვლა . . . 76
  - *7.6.1 საკვამურის მწმენდავის ფუნქცია . . . 76*
  - *7.6.2 აირის წნევის რეგულირება მფრქვევანებთან . . . 77*
- 7.7 აირის შეცვლა . . . 78
  - *7.7.1 წინასწარი მოქმედებები . . . 78*
- 7.8 კალიბრების ავტომატური პროცედურა . . . 79
- 7.9 ცხელი წყლის კომფორტის ფუნქცია (წინასწარი გათბობა) . . . 81


8 მომსახურება 82
- 8.1 რეგულირება . . . 82
- 8.2 გარე გასუფთავება . . . 82
  - *8.2.1 გარსაცმის გასუფთავება . . . 82*
- 8.3 შიგა გასუფთავება . . . 82
  - *8.3.1 თბომცვლელის გასუფთავება . . . 82*
  - *8.3.2 სანთურის გაასუფთავება . . . 83*
  - *8.3.3 აალების/დეტექტირების ელექტროდის შემოწმება . . . 83*
  - *8.3.4 საბოლოო ოპერაციები . . . 83*
- 8.4 შემოწმება . . . 83
  - *8.4.1 საკვამურის შემოწმება . . . 83*
  - *8.4.2 გაფართოების რეზერვუარის წნევის შემოწმება . . . 83*
- 8.5 არაგეგმიური მომსახურება . . . 84
- 8.6 გაუმართაობის კოდები და შესაძლო გამოსავალი84
  - *8.6.1 ტექმომსახურების მოთხოვნა . . . 85*

6 დაყენება

გაფრთხილება
დანადგარი უნდა დააყენოს **Sime**-ს ტექნიკურმა მომსახურებამ ან კვალიფიციურმა პროფესიონალმა, რომელმაც უნდა ატაროს შესაბამისი დამცავი საშუალებები.

6.1 ნაწარმის მიღება

Edea BF 30T დანადგარის მიწოდება ხორციელდება ერთიანი, მუყაოთი დაცული შეფუთვით.




ნახ. 17

შეფუთვის შიგნით მოთავსებული პლასტიკის პარკი შეიცავს:
– დაყენების გამოყენების და მომსახურებისის ინსტრუქციას
– დანადგარის დასაყენებელ ქაღალდის თარგს
– საგარანტიო სერტიფიკატი
– ჰიდრავლიკური გამოცდის სერტიფიკატს
– ჰაერის რეგულაციის დიაფრაგმა
– პარკს დუბელებიანი ხრახნებით
– ჩანთა ჰიდრავლიკური მამჭიდროებლებით
– პასპორტ რუსეთი

აკრძალულია
შესაფუთი მასალის ადგილზე ან ბავშვებთან ახლოს დატოვება. ეს სახიფათოა. მოიცილეთ ის კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ზომები და წონა




ნახ. 18

აღწერა	Edea BF
	30T
L (მმ)	450
D (მმ)	250 (*)
H (მმ)	700
წონა (კგ)	31,5

(*) მოხსნადი პანელის გარეშე.

6.3 მოპყრობა

პაკეტის მოხსნის შემდეგ, აპარატის გადაადგილება ხდება ხელით, მისი გადახრით და აწევით, მყარ ნაწილებზე, როგორიცაა საძირკველი და სტრუქტურა, როგორც ნაჩვენებია ფიგურაში.



ნახ. 19


ყურადღება
შეფუთვის მოცილებისას და დანადგარის გადატანისას გამოიყენეთ შესაფერისი ხელსაწყოები და დამცავი საშუალებები. დაიცავით ერთ ადამიანზე მოსული მაქს. წონის შეზღუდვა.

6.4 დაყენების სათავსო

ოთახი, რომელშიც მოწყობილობა უნდა დამონტაჟდეს, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა შესაბამის ტექნიკურ და იურიდიულ რეგულაციებს. აღჭურვილი უნდა იყოს “TYPE B”-ს ინსტალაციისთვის შესაფერისად, ზომაზე მორგებული სავენტილაციო ხვრელებით. გარდა ამისა, ისე უნდა გაკეთდეს, რომ მოწყობილობის მუშობისას ხმაური თავიდან შეძლებისდაგვარად იქნას არიდებული.
სათავსოს მინიმალური ტემპერატურა არ უნდა იყოს **-5 °C ზე** ნაკლები.

გაფრთხილება
– დარწმუნდით, რომ მოათავსეთ მოწყობილობა მუდმივი მზისგან, ცუდი ამინდისა და ტენიანი და სველი გარემოსგან დაცულ ადგილებში.
– დანადგარის დაყენებამდე დამყენებელი **ვალდებულია**დარწმუნდეს, რომ კედელი გაუძლებს დატვირთვას.
– არ დაივიწყოთ, რომ საჭიროა სივრცე უსაფრთხოების/რეგულირების მოწყობილობებთან მიდგომის, აგრეთვე მომსახურების პროცედურების ჩასატარებლად(იხილე ნახ. 20).

მიახლოებითი მინიმალური მანძილები



ნახ. 20

გაფრთხილება
- კოაქსიალური **კვამლსადენი მილების მქონე ქვაბებისთვის** არ არის საჭირო ადვილაალებადი კედლებიდან მინიმალური დისტანციის შენარჩუნება, რადგან ქვაბის ნორმალური მუშაობის დროს მილის ტემპერატურა არასოდეს აღწევს მაღალ მნიშვნელობებს (ტემპერატურული სხვაობა კედელსა და გარემოს შორის არასოდეს აღემატება 60 კ-ს).
- ცალკე **შეშვების და გამონაბოლქვი არხების მქონე ქვაბებისთვის**, ადვილაალებადი კედლებისა და საჟღენთის შემთხვევაში, კედელსა და კვამლსადენ მილებს შორის უნდა დამონტაჟდეს საიზოლაციო დაცვა.

6.5 ახალი დანადგარის დაყენება ან ძველი დანადგარის ჩანაცვლება

Edea BF 30T ორთქლის ქვაბების ახალ სისტემებში დამონტაჟების ან არსებული სისტემების ჩანაცვლების შემთხვევაში, რეკომენდებულია შემდეგის შემოწმება:
- არსებული საკვამლე მილის თავსებადობა ახალი დანადგარის წვის ტემპერატურასთან, მისი გათვლისა და დამზადების შესაბამისობა სტანდარტებთან, რომ ის მაქსიმალურად გამართული, ჰერმეტული და იზოლირებულია, არ გააჩნია წინაღობები ან შეზღუდვები და რომ ის აღჭურვილია კონდენსატის შეგროვებისა და მოცილების სისტემით
- რომ ელექტული სისტემა დამზადებულია შესაბამისი სტანდარტების მიხედვით კვალიფიციური პერსონალის მიერ
- საწვავის მიწოდების მილის და ბალონის (გათხევადებული აირის) შესაბამისობა სტანდარტებთან
- რომ გაფართოების რეზერვუარი სრულად იტევს გაფართოებულ სითხეს
- რომ ტუმბოს დაწნევა სრულიად საკმარისია სისტემის მახასიათებლებისთვის
- რომ სისტემა სუფთაა, თავისუფალია შლამის და დანალექისაგან, დეაერირებული და ჰერმეტულია. სისტემის გაწმენდა შესაბამის პარაგრაფშია განხილული.

გაფრთხილება
დამამზადებელი ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის არასწორად შესრულებული საკვამური მილის, ან დანამატების ჭარბი გამოყენების გამო.

6.6 სისტემის გასუფთავება

ვიდრე დანადგარს ახლადაწყობილ სისტემაში ჩავაყენებთ ან არსებული სისტემის სითბოს გენერატორს ახლით ჩავანაცვლებთ, მნიშვნელოვანია სისტემის შლამისგან, შლაკისგან, ჟუჭყისგან, ნალექისგან და ა.შ. გულდასმით გასუფთავება.
ვიდრე არსებული სისტემიდან სითბოს ძველ გენერატორს მოვაცილებთ, რეკომენდებულია:
- წყლის სისტემაში მინადუღის მოსაცილებელი დანამატის შეყვანა
- სისტემის ძველი გენერატორით რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობა
- სისტემიდან ჭუჭყიანი წყლის ჩამოცლა და სუფთა წყლით მისი ერთხელ ან მეტად გამორეცხვა.

თუ ძველი გენერატორი უკვე მოხსნილია, ან არაა ხელმისაწვდომი, ჩაანაცვლეთ ის ტუმბოთი და შემდეგ გააგრძელეთ ისე, როგორც ზემოთაა რეკომენდებული.
გამწმენდი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ახალი დანადგარის დაყენებამდე, რეკომენდებულია წყლის სისტემაში კოროზიისაგან და ნადებისგან დამცავი სითხის დამატება.

გაფრთხილება
- დანამატების ტიპის და გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ დანადგარის დამამზადებელს.
- არ დაგავიწყდეთ, რომ **აუცილებელია** Y ფილტრის დაყენება ,რომელიც მოგეწოდებათ დანადგართან ერთად, გათბობის სიტემაში დაბრუნებაზე (R).
- სასურველია დამონტაჟდეს ჩამოსახსნელი, რომელიც არ არის მოწყობილობასთან ერთად, Y-ფილტრის წინ, სისტემაში არსებული მინარევების შესაგროვებლად და გასაყოფად.


6.7 წყლის სისტემის დამუშავება

სისტემის ავსებისას და აღდგენისას კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ წყალს, რომელიც:
- შეძლებისდაგვარად სუფთაა
- pH: 6÷ 8
- აქვს სიხისტე< 25°f.

თუ წყლის თვისებები განსხვავდება ჩამოთვლილთაგან, რეკომენდებულია წყლის მიმწოდებელ მილზე უსაფრთხოების ფილტრის გამოყენება მინარევების მოსაცილებლად და ქიმიური ზემოქმედებისთვის, რათა დავიცვათ სისტემა შესაძლო დანალექისა და კოროზიისგან, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ბოილერის მუშაობაზე.
თუ სისტემა მხოლოდ დაბალტემპერატურულია, რეკომენდებულია ბაქტერიის გამრავლების საწინააღმდეგო პროდუქტის გამოყენება.
ყველა შემთხვევაში მიმართეთ და დაიცავით მოქმედი ტექნიკური ნორმები და კანონმდებლობა.

6.8 ბოილერის დაყენება

Edea BF 30T ბოილერს ქარხნიდან მოყვება ქაღალდის თარგი მყარ კედელზე მის დასაყენებლად.
ბოილერის დაყენებისას:
– მოათავსეთ ქაღალდის თარგი (1) კედელზე (2), რომელზეც უნდა დაკიდოთ ბოილერი
– გააკეთეთ ხვრელები და ჩაამაგრეთ დუბელები (3)
– ჩამოკიდეთ ბროილერი ხრახნებზე.




ნახ. 21

გაფრთხილება
ბოილერი ისეთ სიმაღლეზე უნდა დაიკიდოს, რომ დაშლის და მომსახურების პროცედურები იოლად ჩატარდეს.

6.9 მილგაყვანილობის შეერთებები

მილგაყვანილობის შეერთებების მახასიათებლები და ზომები შემდეგია.



ნახ. 22

აღწერა	Edea BF
	30T
M – სისტემაში მიწოდება	Ø 3/4" G
R – სისტემაში დაბრუნება	Ø 3/4" G
Mb – ცხელი წყლის ავზის მიწოდებაა	Ø 3/4" G
Rb – ცხელი წყლის ავზის დაბრუნება	Ø 3/4" G
G – აირის მიწოდება	Ø 3/4" G
A (mm)	95
L (მმ)	450

ყურადღება
დაყენებული თითოეული მცველი სარქვლის გამოსასვლელი უნდა იყოს დაკავშირებული ჰაერის შეგროვებისა და ვაკუუმირების სისტემასთან შესაბამისი მილების საშუალებით, რომლებიც არ არის მიწოდებული Sime. მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას მცველი სარქვლის ჩარევით გამოწვეული ელექტრო მოწყობილობების დატბორვაზე ან დაზიანებაზე.

6.9.1 მილგაყვანილობის დეტალები (არჩევითი)

სისტემასთან წყლისა და აირის მილგაყვანილობის მიერთების გასაიოლებლად ხელმისაწვდომია ქვემოთ ცხრილში მოყვანილი დეტალები, რომელთა შეკვეთა ბოილერისგან დამოუკიდებლად ხდება.

აღწერილობა	კოდი
საინსტალაციო ფირფიტა	8075441
ონკანების კომპლექტი	8091820
კედლის საკიდებს შემცვლელების კომპლექტი სხვა მიმწოდებლებისთვის	8093900
შეერთებების დამცავი კომპლექტი	8094531
პოლიფოსფატის დოზატორების კომპლექტი	8101700
დოზატორის დასატენი კომპლექტი	8101710

შენიშვნა: *კომპლექტის ინსტრუქცია თან ახლავს თავად დეტალებს ან შეფუთვაზეა დატანილი.*

6.10 ბუნებრივი აირის მიწოდება

Edea BF 30T ბოილერებშიი ქარხნულად გათვალისწინებულია G20 აირის ან G30/G31 გამოყენება. G20 მოდელები შეიძლება გარდაიქმნას G30/G31-ს გამოყენებაზე "მფრქვევანების კომპლექტის" გამოყენებით, რომელსაც მოთხოვნის შემთხვევაში **Sime** ბოილერისგან ცალკე მოგაწვდით.
აირის ტიპის შეცვლისას სრულად ჩაატარეთ დანადგარის **"აირის შეცვლით"** გათვალისწინებული პროცედურა.
აირის ქსელთან ბოილერის მიერთება სრულად უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ტექნიკურ ნორმებს.
ვიდრე მიერთებას შეუდგებოდეთ, დარწმუნდით, რომ:
– ბოილერი თავსებადია მიწოდებული აირის სახეობასთან
– მილები სუფთაა
– აირის მიწოდების მილის ზომა ტოლია ან აღემატება ბოილერის შესავალის ზომას (G3/4") და დაწნევის დანაკარგი ნაკლებია ან ტოლია აირის ქსელსა და ბოილერს შორის გათვალისწინებულზე.


ყურადღება
დაყენების დასრულებისთანავე შეამოწმეთ შეერთებების ჰერმეტულობა სტანდარტის მიხედვით.

გაფრთხილება
რეკომენდებულია აირის მილის აღჭურვა შესაბამისი ფილტრით.

6.11 ნამწვის გამოსავალი და წვის ჰაერის შესავალი

Edea BF 30T ბოილერი უნდა აღიჭურვოს შესაბამისი საკვამლე და საჰაერო მილებით. ეს მილები ბოილერის განუყოფელ ნაწილებად ითვლება და **Sime** -ს მიერ დამხმარე ნაწილების კომპლექტების სახით მიეწოდება მომხმარებელს დამატებითი შეკვეთის შემთხვევაში, სიტემური მოთხოვნებისა და ნებადართული კონფიგურაციების გათვალისწინებით.

დასაშვებია სანიაღვრეების და არხების ტიპები



ნახ. 23

გამოსვალი	აღწერა	კოაქსიალური არხები		ცალკე არხები		
		Ø 60/100	Ø 80/125	Ø 80	Ø 60	Ø 50
B22P-B25P	ჰაერის შესავალი ატმოსფეროდან და ნამწვის გამოსავალი გარეთ. **შენიშვნა:** წვის ჰაერის შესავალი ღიობი (6 სმ²x კვტ)			X		
B32P	.ატმოსფეროდან წვის ჰაერის შესავალი და ნამწვის გამოსავალი ერთიან საკვამურში **შენიშვნა:** წვის ჰაერის ღიობი ((15 სმ² x კვტ)	X				
C12-C12X	კედლის კონცენტრული ნამწვის გამოსავალი. მილები შეიძლება ბოილიერთან დაიწყოს, მაგრამ გამოსავალი ან კონცენტრული უნდა იყოს, ან ახლოს განლაგებული (არა უმეტეს 50 სმ), ქარის თვალსაზრისით ერთნაირ პირობებში.	X		X		
C32-C32X	კონცენტრული გამოსავალი სახურავზე, მსგავსი C12X	X		X		
C42-C42X	შესავალი და გამოსავალი საზიარო ან განცალკევებულ საკვამურში, მაგრამ ქარის თვალსაზრისით მსგავს პირობებში	X		X		
C52-C52X	კედლის ან სახურავის განცალკევებული შესავალი და გამოსავალი განსხვავებული წნევის ადგილებში. **შენიშვნა:** დაუშვებელია შესავალის და გამოსავალის მოპირდაპირე კედლებზე განლაგება.			X		
C82-C82X	გამოსავალი ცალკე ან საზიარო საკვამურში, ან შესავალით კედელზე			X		
C92-C92X	განცალკევებული გამოსავალი და შესავალი საზიარო საკვამურში			X		
C62-C62X	გასავალი და შესავალი დამზადებულია მილებისაგან, რომლებიც ცალკეა დამზადებული და სერტიფიცირებული.					

P: *ნამწვის გამოსავალი დაგეგმილია დადებით წნევასთან სამუშაოდ.*
X: *დამონტაჟებულია მოწყობილობები და მასთან დაკავშირებული კვამლის გამონაბოლქვი.*

ყველა გაზომვა გამოხატულია მმ-ში.

ყურადღება

- საკვამური და მასთან შეერთება უნდა შეესაბამებოდეს გამოყენების ქვეყნის ეროვნულ და ადგილობრივ ნორმებს და კანონმდებლობას.
- სავალდებულოა ხისტი მილების გამოყენება, რომლებიც ჰერმეტულია და ტემპერატურული თუ მექანიკური ზემოქმედების, აგრეთვე კონდენსატის მიმართ მდგრადობა ახასიათებს.
- არაიზოლირებული გამოსავალი მილები ხიფათის შემცველია.
- კვამლსადენი მილები შეიძლება დამზადებული იყოს ალუმინის ან უჟანგავი ფოლადისგან.

